V

**ხელშეკრულება N02/10/064-16**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „23" მარტი 2016 წ.

ერთი მხრივ, **სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი",** წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ბუთხუზის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, **შპს „სტრადა მოტორსი"** წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ გვაზავას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის, „თ" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მე-1 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილების შესაბამისად, შემსყიდველის მიერ ***გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:***

**გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

**„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ"** (შემდგომ _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

**„ხელშეკრულების ღირებულება"** ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

**„შემსყიდველი ორგანიზაცია"** (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

**„მიმწოდებელი"** ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველს აწვდის მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1. **შესყიდვის ობიექტი**

1.1 შესყიდვის ობიექტია: „შემსყიდველის" სახელზე რიცხული FIAT DUCATO 2.3D-ს სახელმწიფო ნომრით EMS-040 VIN: ZFA25000002451401 (2013 წლის გამოშვება) შეკეთება (CPV50110000), დანართის შესაბამისად.

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების სარემონტო სამუშაოების, საქონლის ჩამონათვალი და ფასები მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: ***17 309,00 (ჩვიდმეტიათას სამასცხრა) ლარს.***

2.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია დანართით.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ყველა გადასახადს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობთ ეკისრება მიმწოდებელს.

3. **მომსახურების გაწევის ვადები და პირობები**

3.1 მიმწოდებელი შემსყიდველს მომსახურებას გაუწევს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 27 მაისის ჩათვლით.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მომსახურება გაუწიოს ოპერატიულად და შეუფერხებლად.

3.3 მომსახურების გაწევის ადგილია თბილისი, ბელიაშვილის ქ. N97.

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს არსებულ სტანდარტებთან შესაბამისი მომსახურება.

4. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს **2016 წლის 28 ივნისის ჩათვლით.**

5. **სტანდარტები**

5.1 ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6. **მომსახურების საგარანტიო პირობები**

6.1 მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე ვრცელდება 6 (ექვსი) თვიანი გარანტია.

7. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

7.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა

სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

**7.3** მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

**7.4** ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

**7.5** მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ამავე სამსახურის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური განყოფილების უფროსი.**

**8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

**8.1** შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

**8.2** შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.5 პუნქტში მითითებული პირები.

**8.3** მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

**9. ანგარიშსწორება**

**9.1** მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

**9.2** ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში.

**9.3** მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

**10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

**10.1** არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

**10.2** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

**10.3** წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**10.4** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

**10.5** ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**11. უფლებების გადაცემა**

**11.1** მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

**12. სუბკონტრაქტორები**

**12.1** ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

**12.2** ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

**12.3** ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

**13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში-ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევეში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღურება.

13.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო**

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

**15. ფორს-მაჟორი**

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**16. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს ან აღსრულების ეროვნულ ბიუროს თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**17. გამოყენებული სამართალი**

**17.1** ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**18. შეტყობინება**

**18.1** ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

**18.2** შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

**19. სხვა პირობები**

**19.1** არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

**19.2** მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

**19.3** ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

**19.4** წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

**შემსყიდველი**
**სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“**

მის: თბილისი, ქერჩის ქ. N8
ტელ: 2 547099
ს/კ 200280141
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიში, სახაზინო კოდი: 300079921

**დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი**
**/გიორგი ბუთხუზი/**

**მიმწოდებელი**
**შპს „სტრადა მოტორსი“**

მის: თბილისი, ბელიაშვილის ქ N 97

ტელ:2 307 307

ს/კოდი: 401960286
ს/ს „საქართველოს ბანკი“
კოდი: BAGAGE22
ა/ა GE49BGG0000000340710100

დირექტორი
ზურაბ გვაზავა

დანართი

სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" სახელზე რიცხული FIAT DUCATO 2.3D-ს სახელმწიფო ნომრით EMS-040 VIN: ZFA25000002451401 (2013 წლის გამოშვება) შეკეთების მომსახურების ჩამონათვალი ხარჯთაღრიცხვასა და გარანტიის ვადებთან ერთად

| N | დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | სულ ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | გვერდითა მინის დემონტაჟი-მონტაჟი | 2 | 90 | 180 |
| 2 | მარცხენა გვერდის შუა ნაწილი მეორდი | 1 | 1740 | 1,740 |
| 3 | მარცხენა გვერდის შუა ნაწილის დემონტაჟი-მონტაჟი | 1 | 330 | 330 |
| 4 | უკანა მარცხენა ფრთა მეორადი | 1 | 1940 | 1,940 |
| 5 | უკანა მარცხენა ფრთის დემონტაჟი-მონტაჟი | 1 | 340 | 340 |
| 6 | კარნიზი მარცხენა მეორადი | 1 | 2940 | 2,940 |
| 7 | შუა მარცხენა კარნიზი მეორადი | 1 | 500 | 500 |
| 8 | კარნიზის შუა ტიხარი მეორადი | 2 | 500 | 1,000 |
| 9 | კარნიზის დემონტაჟი-მონტაჟი | 1 | 290 | 290 |
| 10 | ძარის მარცხენა ქვედა ბალკა მეორადი | 1 | 300 | 300 |
| 11 | ძარის მარცხენა ქვედა ბალკა დემონტაჟი-მონტაჟი | 1 | 310 | 310 |
| 12 | ძარის ზომებში მოყვანა | 1 | 680 | 680 |
| 13 | იატაკის სათუნუქე სამუშო | 1 | 345 | 345 |
| 14 | სამედიცინო კარადა | 1 | 2000 | 2,000 |
| 15 | სამედიცინო კარადის დემონტაჟი-მონტაჟი | 1 | 240 | 240 |
| 16 | სრიალა კარის სათუნუქე სამუშაო | 1 | 85 | 85 |
| 17 | მარცხენა გვერდის შუა ნაწილის სათუნუქე სამუშაო | 1 | 85 | 85 |
| 18 | მარცხენა გვერდის უკანა ნაწილის სამღებრო სამუშაოები შიგნიდან და გარედან | 1 | 165 | 165 |
| 19 | უკანა ფრთის სამღებრო სამუშაოები შიგნიდან და გარედან | 1 | 330 | 330 |
| 20 | კარნიზის სამღებრო სამუშაოები  გარედან | 1 | 125 | 125 |
| 21 | სრიალა კარის სამღებრო სამუშაოები გარედან | 1 | 170 | 170 |
| 22 | მარცხენა გვერდის სტოიკის სამღებრო სამუშაეობი | 1 | 125 | 125 |
| 23 | არაკალი ავერი (სტიკერი) | 3 | 65 | 195 |
| 24 | გვერდითა პლასტმასის კანტი (დიდი) | 1 | 236 | 236 |
| 25 | გვერდითა პლასტმასის კანტი (დიდი) შეცვლა | 1 | 18 | 18 |
| 26 | უკანა მარცხენა ფრთის პლასტამასის კანტი | 1 | 89 | 89 |
| 27 | უკანა მარცხენა ფრთის პლასტამასის კანტის შეცვლა | 1 | 12 | 12 |
| 28 | გვერდითა შუა პატარა პლასტმასის კანტი | 1 | 95 | 95 |
| 29 | გვერდითა შუა პატარა პლასტმასის კანტის შეცვლა | 1 | 10 | 10 |
| 30 | საწვავის ავზის თავსახური | 1 | 180 | 180 |
| 31 | საწვავის ავზის ხუფი | 1 | 160 | 160 |
| 32 | მაყუჩის აღდგენა-შედუღება | 1 | 50 | 50 |
| 33 | წინა ამორტიზატორი | 1 | 500 | 500 |
| 34 | წინა ამორტიზატორის საკისარი | 1 | 70 | 70 |
| 35 | წინა ამორტიზატორის ბალიში | 1 | 390 | 390 |
| 36 | წინა ამორტიზატორის შეცვლა | 1 | 50 | 50 |
| 37 | მოკლე წევა (ტიაგა) | 2 | 220 | 440 |
| 38 | მოკლე წევა (ტიაგა) შეცვლა | 2 | 20 | 40 |
| 39 | ქვედა გიტარის ვტულკა დიდი (რაზვალის) არა ქარხნული | 2 | 74 | 148 |
| 40 | ქვედა გიტარის ვტულკა დიდი (რაზვალის) არა ქარხნული შეცვლა | 2 | 65 | 130 |
| 41 | ქვედა გიტარის ვტულკა პატარა (რაზვალის) არა ქარხნული | 2 | 63 | 126 |
| 42 | ქვედა გიტარის ვტულკა პატარა (რაზვალის) არა ქარხნული შეცვლა | 2 | 65 | 130 |
| 43 | თვლების გადახრის შემოწმება | 1 | 20 | 20 |
| | სულ მთლიანი ჯამი | | | 17,309 |

შემსყიდველი

გიორგი ბუთხუზი

მიმწოდებელი

ზურაბ გვაზავა